



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49212731

თარიღი:30/09/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 90

ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 42-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლი პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფცია :

დანართი №1 - გენერალური გეგმის კონცეფცია (ტექსტური ნაწილი);

დანართი №2 - ტერიტორიათა განვითარების გრაფიკული მონახაზი;

დანართი №3 - გგ-ს და გდგ-ს არელების რუკა;

დანართი №4 - ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის რეკომენდაციები ქალაქმშენებლობითი გეგმების დავალების შესადგენად;

დანართი №5 - მიზანშეწონილობის ანალიზი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

